ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი 09/07/2015

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 503

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე.მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს (ს/კ №245445200) თანდართული წესდება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2004 წლის 14 სექტემბრის №126 ბრძანებით დამტკიცებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება-„ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს წესდება.

3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს დირექტორს (პაატა დუმბაძე, პირადი ნომერი 61001029744) დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

„დამტკიცებულია“
ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება
2015 წლის .09. ...ივლისი....., №.....503

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ (შემდგომში საზოგადოებად წოდებული) შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. საზოგადოება იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

3. საზოგადოების სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. დრო საზოგადოების რეგისტრაციიდან რეგისტრაციის წლის 31 დეკემბრამდე შეადგენს ერთ ნაკლულ სამეურნეო წელს.

4. საზოგადოება საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონეზით.

5. საზოგადოება ეწევა სამეწარმეო საქმიანობას ორგანიზებულად და დამოუკიდებლად. საზოგადოებას შეუძლია შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იყოს მოსარჩელე/მოპასუხე სასამართლოში, საკუთარი სახელით დადოს ხელშეკრულებები, გარდა ქონების გასხვისებასთან, სარგებლობის უფლებით გადაცემასთან, საკრედიტო ვალდებულებების ან მიზნობრივი სესხების აღებასთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 2. საზოგადოების სრული და შემოკლებული სახელწოდება

1. საზოგადოების სრული სახელწოდებაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ბათუმის ავტოტრანსპორტი“.

2. საზოგადოების შემოკლებული სახელწოდებაა: შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“.

მუხლი 3. საზოგადოების იურიდიული მისამართი და სტატუსი

1. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, სულხანსაბა ორბელიანის ქ. №13.

2. საზოგადოება არის იურიდიული პირი, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

3. საზოგადოება იურიდიული პირის უფლებებს და მოვალეობებს იძენს დადგენილი წესით რეგისტრაციის დღიდან.

მუხლი 4. საზოგადოების საქმიანობის საგანი

1. საზოგადოების მიზანია მოგების მიღება.

2. საზოგადოების საქმიანობის საგანია:

ა) დადგენილი ტარიფების შესაბამისად მგზავრთა გადაყვანა, დადგენილი მარშრუტით;

ბ) სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება/პროფილაქტიკის, მომსახურებისა და გასამართი სამუშაოების ჩატარება;

გ) საწვავ-საცხები მასალებით სატრანსპორტო საშუალებების უზრუნველყოფა და მომსახურება;

დ) ავტოსათადარიგო ნაწილებისა და მასალების შესყიდვა, როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე მისი კომერციული პირობებით რეალიზაცია;

ე) ხელშეკრულების დადება სახელმწიფო და კერძო პირებთან/ორგანიზაციებთან საქონლის ყიდვა-გაყიდვისა, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე თუ მომსახურების მიღება-გაწევაზე;

ვ) სხვა სახის სამეურნეო და კომერციული საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

3. საზოგადოება შეიძლება ეწეოდეს სხვა სახის საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით. საქმიანობას, რომლის განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზირება, სერთიფიცირება), საზოგადოება წარმართავს საქართველოს კანონმდებლიბით დადგენილი წესით სათანადო ნებართვის (ლიცენზიის) მიღების შემდეგ.

4. საზოგადოება საქმიანობას წარმართავს ამ წესდების, საზოგადოების შინაგანაწესის, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლო0ბის შესაბამისად.

მუხლი 5. საზოგადოების ქონება და დამფუძნებელი პარტნიორი

1. საზოგადოების ქონებას წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით პარტნიორთა მიერ გადაცემული ქონება. საზოგადოების ქონებას შეიძლება შეადგენდეს აგრეთვე საზოგადოების ფუნქციონირების განმავლობაში მისი ფინანსური სახსრებით შეძენილი ან/და შექმნილი ქონება.

2. საზოგადოების პარტნიორი არის: საზოგადოების საწესდებო კაპიტალში 100%-ანი წილის მესაკუთრე _ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი (მის. ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, საინდენტიფიკაციო კოდი: 245576826), წარმოდგენილი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახით.

3. პარტნიორს უფლება აქვს:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასხვისოს საზოგადოების როგორც მთლიანი წილი, ასევე მისი ნაწილი;

ბ) გააკონტროლოს საზოგადოების ხელმძღვანელობის საქმიანობა;

გ) მიიღოს დივიდენდი საზოგადოების მოგებიდან;

დ) მოითხოვოს დირექტორისაგან საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიწოდება;

ე) შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საზოგადოების ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები, თუ აღმოჩნდა, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა.

მუხლი 6. პარტნიორთა კრება

1. საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება, რომელიც წარმართავს საზოგადოების საქმიანობას.

2. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას ყველა საკითხზე. კერძოდ:

ა) საზოგადოების წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით პარტნიორის მიერ წილის გასხვისება მესამე პირებზე;

გ) სამეურნეო პოლიტიკისა და საწარმოს ფუნქციონირებისათვის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;

დ) ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;

ე) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ვ) ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებისა და საერთო შემოსავალში მონაწილეობის პრინციპების განსაზღვრა;

ზ) საშტატო განრიგის დამტკიცება;

თ) დირექტორის დანიშვნა და გამოწვევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება;

კ) ინვესტიციების შესახებ;

ლ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სესხებისა და კრედიტების აღების შესახებ, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება პარტნიორთა კრების მიერ დადგენილ ოდენობას;

მ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იმ სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას;

ნ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შესატანების გადახდის მოთხოვნის შესახებ;

ო) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამატებითი შესატანების უკან დაბრუნების შესახებ;

პ) პროკურის გაცემა და გაუქმება;

ჟ) აგრეთვე სხვა საკითხები, რომლებიც სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს ან/და რომლებზეც პარტნიორთა კრება დაადგენს პარტნიორთა კრების გზით გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას.

მუხლი 7. დირექტორი

1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს, რომელსაც „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

2. ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს.

3. დირექტორი წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში. ის მოქმედებს ერთპიროვნულად და მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ არის შეზღუდული, გარდა საქართველოს კანონმდებლობით ან/და წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. დირექტორს არ აქვს უფლება პარტნიორის თანხმობის გარეშე მისდიოს იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღოს მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით. ამ თანხმობის გაცემა შეუძლია პარტნიორთა კრებას. ასეთ საქმიანობაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნისას პარტნიორისათვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ.

5. დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად. თუ ის არ შეასრულებს ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებს პარტნიორის წინაშე, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ მას არ დაურღვევია თავისი მოვალეობა.

6. დირექტორი პასუხისმგებელია იმაზე, რომ საზოგადოების საბუღალტრო საქმეები და აღრიცხვა წარმოებდეს საქართველოში მოქმედი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დირექტორმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს უნფორმაცია პარტნიორს საზოგადოების საქმიანობის შესახებ და მისცეს საშუალება გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს.

8. სამეურნეო წლის პირველი თვის განმავლობაში დირექტორმა უნდა შეადგინოს გასული სამეურნეო წლის წლიური ბალანსი, ანგარიში მოგება-ზარალის შესახებ (წლიური ანგარიში), ასევე საქმიანობის ანგარიში და უნდა წარუდგინოს დამფუძნებელს.

9. დირექტორი უფლებამოსილია:

ა) დაამტკიცოს საზოგადოების დოკუმენტები, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცეს ბრძანებები;

ბ) განახორციელოს ადმინისტრაციული ფუნქციები, მათ შორის მიიღოს და გაათავისუფლოს საზოგადოების თანამშრომლები, დაამტკიცოს შენაგანაწესი;

გ) წაახალისოს და დისციპლინური პასუხისმგებლობა დააკისროს თანამშრომლებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) დადოს გარიგებები და გასცეს მინდობილობები იმ საკითხებზე, რაც შედის მის უფლებამოსილებებში;

ე) გახსნას ანგარიშები;

ვ) დამოუკიდებლად განკარგოს ფინანსური სახსრები დამფუძნებლის მიერ დამტკიცებული წლიური ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, აგრეთვე სხვა ხარჯები, რომლისთვისაც არ არის საჭირო პარტნიორის თანხმობა;

ზ) გამოსცეს საორგანიზაციო-განმკარგულებელი ხასიათის დოკუმენტები;

თ) პარტნიორთა კრების თანხმობის შემდეგ განახორციელოს წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები;

ი) გადაწყვიტოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული სხვა სახის საკითხები.

მუხლი 8. დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრა

საზოგადოების დირექტორის მიერ დროებითი შრომისუუნარობის გამო ან სხვა საფუძვლის არსებობისას თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ამავე საზოგადოების თანამშრომელთაგან დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 9. საზოგადოების სტრუქტურა

1. საზოგადოების სტრუქტურა და სტრუქტურაში შემავალი თანამშრომლების რაოდენობა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად.

2. საზოგადოების თანამშრომელთა უფლებამოსილებები (თანამდებობრივი ინსტრუქციები) საზოგადოების ფუნქციებიდან გამომდინარე განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

მუხლი 10. წლიური შედეგები

1. პარტნიორს აქვს წლიური გაუნაწილებელი მოგების მიღების უფლება ნაშთის ჩათვლით და ზარალის გამოკლებით.

2. შედეგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორს შეუძლია თანხა მოგებიდან ანარიცხებში ჩარიცხოს ან წარმოადგინოს როგორც მოგება.

მუხლი 11. საზოგადოების საქმიანობის კონტროლი

1. საზოგადოების საქმიანობის საერთო კონტროლს ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

2. საზოგადოების საქმიანობის კონტროლი მოიცავს საზოგადოების მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

3. საზოგადოების საქმიანობის შესამოწმებლად, საჭიროების შემთხვევაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი ნიშნავს აუდიტორს.

4. საზოგადოების საქმიანობის კონტროლთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა

1. საზოგადოება წყვეტს საქმიანობას:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით;

ბ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა ხდება მისი რეორგანიზაციის (შერწყმის, შეერთების, გაყოფის, გარდაქმნის) ან ლიკვიდაციის გზით.

3. საზოგადოების რეორგანიზაციის შემთხვევაში მისი ყველა უფლება და ვალდებულება გადაეცემა მის უფლებამონაცვლეს.

4. ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

20/11/2017

2091-25-4-201711201437

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 2091

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106^1 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს (ს/კ №245445200) წესდების (დამტკიცებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 09 ივლისის №503 ბრძანებით) მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1; 1^2; 8^1; 8^2 და 8^3 პუნქტები:

„1^1. დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება ერთი სამეურნეო წლის ვადით, რომელიც მოიცავს წლის დასაწყისიდან - 1 იანვრიდან წლის დასასრულამდე - 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს (კალენდარული წელი).

1^2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი (პარტნიორთა კრება) უფლებამოსილია ვადაზე ადრე გაათავისუფლოს დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან ან გაუგრძელოს უფლებამოსილების ვადა ერთი სამეურნეო წლით.

8^1.დირექტორს უფლება არ აქვს გამოიტანოს ნაღდი ფული საზოგადოების საბანკო ანგარიშ(ებ)იდან.

8^2. დირექტორს უფლება არ აქვს საბანკო ოპერაციები (გადარიცხვები) აწარმოოს მთავარი ბუღალტერის ავტორიზაციის გარეშე. თუ საზოგადოებას არ ჰყავს მთავარი ბუღალტერი, მაშინ აღნიშნულ უფლებამოსილებას დირექტორთან ერთად ახორციელებს თანამშრომელი, რომელიც თანამდებობრივად პასუხისმგებელია საბუღალტრო აღრიცხვაზე.

8^3. დირექტორი ვალდებულია ყოველთვიურად (პირველ დეკადაში) დამფუძნებელ პარტნიორს წარუდგინოს ამონაწერ(ებ)ი საწარმოს საბანკო ანგარიშ(ებ)იდან მიმდინარე თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით.“.

2. წინამდებარე ბრძანებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს წესდებაში განხორციელებული ცვლილება ვრცელდება ასევე ამ ცვლილების ამოქმედებამდე დანიშნულ დირექტორზეც, რაც ნიშნავს, რომ მოქმედი დირექტორის უფლებამოსილების ვადაა 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსს (ვახტანგ გედენიძე, პირადი ნომერი: 61001051657) დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

23/01/2018

327-25-4-201801231615

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 327

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 106^1 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს (ს/კ №245445200) წესდებაში (დამტკიცებული: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 09 ივლისის №503 ბრძანებით) შეტანილი იქნას ცვლილება და წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საზოგადოების საქმიანობის საგანია:

ა) დადგენილი ტარიფების შესაბამისად მგზავრთა გადაყვანა, დადგენილი მარშრუტით;

ბ) სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება/პროფილაქტიკის, მომსახურებისა და გასამართი სამუშაოების ჩატარება;

გ) საწვავ-საცხები მასალებით სატრანსპორტო საშუალებების უზრუნველყოფა და მომსახურება;

დ) ავტოსათადარიგო ნაწილებისა და მასალების შესყიდვა, როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე მისი კომერციული პირობებით რეალიზაცია;

ე) ხელშეკრულების დადება სახელმწიფო და კერძო პირებთან/ორგანიზაციებთან საქონლის ყიდვა-გაყიდვისა, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე თუ მომსახურების მიღება-გაწევაზე;

ვ) საგზაო მოძრაობის რეგულირებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე:

ვ.ა) გამაფრთხილებელი ნიშნების, პრიორიტეტის ნიშნების, ამკრძალავი ნიშნების, მიმთითებელი ნიშნების, სერვისის ნიშნების, დამატებითი ინფორმაციის ნიშნების (დაფების) განთავსებას (მონტაჟი), მათ დემონტაჟს;

ვ.ბ) სიჩქარის შემანელებელი ბარიერების მოწყობასა და რემონტს;

ვ.გ) საავტომობილო გზებზე მონიშვნის ნიშნების სამუშაოების შესრულებას - გზის სავალი ნაწილების დახაზვას;

ვ.დ) ველობილიკების მოწყობას (შეღებვა და მონიშვნა);

ზ) ქ. ბათუმის მუნიციპლიტეტის მერის დავალების შემთხვევაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ვიდეოკამერების მოვლა-პატრონობა;

თ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გზაჯვარედინებზე შუქნიშნების განთავსება, ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა და მიმდინარე რემონტი;

ი) პარკირების ადგილების მოწყობა, დახაზვა, საგზაო ნიშნებით აღჭურვა;

კ) პარკირების ადგილებზე პარკომეტრების მონტაჟი, ექსპლუატაცია, შესაბამისი ნიშნებით აღჭურვა;

ლ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში ერთიანი პოლიტიკის ფორმირებაში მონაწილეობის მიღება;

მ) პარკირების მონიტორინგი ქალაქში, კანონით დადგენილი წესით დამრღვევებისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების (საჯარიმო ქვითრების) გამოწერა;

ნ) კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე (მათ შორის სპეცტექნიკის) გადაყვანასა და ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალური დაცული სადგომიდან გაყვანასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების განხორციელება;

ო) კანონით დადგენილ ვადაში, სამართალდამრღვევის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, აღსრულების იძულებითი ღონისძიების მიზნით სააღსრულებო ფურცლის გაცემა და მათი გადაგზავნა აღსრულების ეროვნულ ბიუროში;

პ) ქუჩებში და საზოგადოებრივ სივრცეებში ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და მოწყობის შესახებ შესაბამისი წინადადების შემუშავება და დადგენილი წესით უფლებამოსილი ორგანოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ჟ) ფასიანი პარკირების სისტემის დანერგვა, საფასურის ოდენობაზე წინადადებების შემუშავება, დადგენილი წესით უფლებამოსილი ორგანოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა და დამტკიცებული საფასურის ამოღების ორგანიზება;

რ) დეკორატიული ღობეების (მასთან ერთად, არსებობისას, დეკორატიული საყვავილეების (ღობური)) მოვლა-შენახვა და მიმდინარე რემონტი;

ს) სხვა სახის სამეურნეო და კომერციული საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;

ტ) სხვა ამოცანებისა და მიზნების შესრულება, საკრებულოსა და მერის სხვა დავალებების შესრულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსს (ვახტანგ გედენიძე, პირადი ნომერი: 61001051657) დაევალოს წი-

ნამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3. ბრძანება ძალაშია 2018 წლის 01 თებერვლიდან.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი